საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-425

21/05/2020

ქ. თბილისი

კასპის მუნიციპალიტეტში, შპს „ჩალიკ ჯორჯია ვინდის“ ქარის ელექტროსადგურის (ნიგოზა, 50 მგვტ) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.9 ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს კასპის მუნიციპალიტეტში, შპს „ჩალიკ ჯორჯია ვინდის“ ქარის ელექტროსადგურის (ნიგოზა, 50 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა N44 (18.05.2020წ.);
2. შპს „ჩალიკ ჯორჯია ვინდმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N44 (18.05.2020 წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჩალიკ ჯორჯია ვინდს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჩალიკ ჯორჯია ვინდის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი